საქართველოს მთავრობის

დადგენილება №531

2025 წლის 5 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/04/2015, 470000000.10.003.018554) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული („ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა“) 5^2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5^2. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 5,000.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	C ჰეპატიტის მართვა	3,290.0
	სკრინინგული კვლევის კომპონენტი	1,000.0
	დიაგნოსტიკის კომპონენტი	1,840.0
	მკურნალობის კომპონენტი	100.0
	ლოჯისტიკის კომპონენტი	350.0
2	B ჰეპატიტის მართვა	1,710.0
	ბენეფიციართა გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მონიტორინგი	1,310.0
	B ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტის, ტესტებისა და სახარჯი მასალის შესყიდვა	400.0
	სულ:	5,000.0 .“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**